ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია

წერილის ნომერი: **30-302535867**
თარიღი: **24/12/2025**

ადრესატი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარეს ბატონ ბესიკ ტაბიძეს

ბატონო ბესიკ,

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-17 მუხლისა და 61-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების შესაბამისად, წარმოგიდგენთ „საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტროსა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს შორის უფლებამოსილების განხორციელების დელეგირების შესახებ“ 2025 წლის 1 ოქტომბერს გაფორმებულ ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ 2025 წლის 11 დეკემბრის N1 შეთანხმების აქტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტს და აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით განმარტებით ბარათს.

1. პროექტის მიღების მიზეზი, მიზანი და არსი

როგორც მოგეხსენებათ, მ/წლის 01 ოქტომბერს საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტროსა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს შორის გაფორმდა „საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტროსა და მუნიციპალიტეტს შორის უფლებამოსილების განხორციელების დელეგირების შესახებ ხელშეკრულება“. რაც დამტკიცდა „საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტროსა და მუნიციპალიტეტს შორის უფლებამოსილების განხორციელების დელეგირების შესახებ ხელშეკრულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულებით.

2025 წლის 11 დეკემბერს N1 შეთანხმების აქტით ცვლილება შევიდა „საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტროსა და მუნიციპალიტეტს შორის უფლებამოსილების განხორციელების დელეგირების შესახებ ხელშეკრულებაში, კერძოდ ხელშეკრულების პირველი მუხლის 1.1 პუნქტის „გ)“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„გ) საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს სისტემაში შემავალი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მცირე ინფრასტრუქტურული სამუშაოების, მათ შორის, შენობის ძირითადი აგრეგატების შეკეთების სამუშაოების, დაფინანსება/განხორციელება.“.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-17 მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, სამინისტროსა და მუნიციპალიტეტს შორის გაფორმებულ, დელეგირების შესახებ ხელშეკრულებას

ხელს აწერს მუნიციპალიტეტის მერი და ამტკიცებს მუნიციპალიტეტის საკრებულო სრული შემადგენლობის უმრავლესობით.

ანალოგიური წესი ვრცელდება ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის შემთხვევებზეც.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ განიხილოთ წარმოდგენილი პროექტი და დაგვიმტკიცოთ.

2. პროექტის ფინანსური დასაბუთება

პროექტის ფინანსური უზრუნველყოფა განსაზღვრულია დელეგირების შესახებ კანონმდებლობითა და ხელშეკრულებით.

3. პროექტის ავტორი და საკრებულოს სხდომაზე დანიშნული მომხსენებელი

განკარგულების პროექტი მომზადებულია მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის მიერ. პროექტის განხილვისას მომხსენებლად წარმოგიდგენთ მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის შოთა ჩაგუნავას კანდიდატურას.

ვინაიდან საკითხი საჭიროებს შემჭიდროვებულ ვადებში გთხოვთ მ/წლის 26 დეკემბერს მოწვეულ საკრებულოს რიგგარეშე სხდომას დაამატოთ შემდეგი საკითხი:

„საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტროსა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს შორის უფლებამოსილების განხორციელების დელეგირების შესახებ“ 2025 წლის 1 ოქტომბერს გაფორმებულ ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ 2025 წლის 11 დეკემბრის N1 შეთანხმების აქტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე“

4. პროექტის წარმდგენი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი.

პატივისცემით,

ალექსანდრე სარიშვილი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია-ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება №
2025 წლის დეკემბერი
ქ. ლანჩხუთი

„საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტროსა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს შორის უფლებამოსილების განხორციელების დელეგირების შესახებ“ 2025 წლის 1 ოქტომბერს გაფორმებულ ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ 2025 წლის 11 დეკემბრის N1 შეთანხმების აქტის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-17 მუხლისა 61-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების შესაბამისად,

მუხლი 1. დამტკიცდეს „საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტროსა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს შორის უფლებამოსილების განხორციელების დელეგირების შესახებ“ 2025 წლის 1 ოქტომბერს გაფორმებულ ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ 2025 წლის 11 დეკემბრის N1 შეთანხმების აქტი“ დანართის შესაბამისად.

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N26 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს „ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის“ მე–8 თავის 22–ე მუხლის მე–3 ნაწილის შესაბამისად.

მუხლი 3. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **ბესიკ ტაბიძე**

შეთანხმება № 1

„საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტროსა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს შორის უფლებამოსილების განხორციელების დელეგირების შესახებ“ 2025 წლის 1 ოქტომბერს გაფორმებულ ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისი 11 დეკემბერი 2025 წ.

ერთი მხრივ, საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტრო (შემდგომში - სამინისტრო), წარმოდგენილი მინისტრის - კახაბერ გულედანის სახით, და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია (შემდგომში - მუნიციპალიტეტი) წარმოდგენილი მერის - ალექსანდრე სარიშვილის სახით, ერთად წოდებულნი როგორც - „მხარეები“, „ზოგიერთი მუნიციპალიტეტისათვის უფლებამოსილების ხელშეკრულების საფუძველზე დელეგირების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2025 წლის 30 სექტემბრის №1604 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2025 წლის 10 დეკემბრის №2075 განკარგულებისა და მხარეებს შორის 2025 წლის 01 ოქტომბერს გაფორმებული უფლებამოსილების განხორციელების დელეგირების შესახებ ხელშეკრულების (შემდგომში - ხელშეკრულება) მე-5 მუხლის 5.3 პუნქტის შესაბამისად, ვდებთ წინამდებარე შეთანხმებას შემდეგზე:

ხელშეკრულების პირველი მუხლის 1.1 პუნქტის „გ)“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს სისტემაში შემავალი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მცირე ინფრასტრუქტურული სამუშაოების, მათ შორის, შენობის ძირითადი აგრეგატების შეკეთების სამუშაოების, დაფინანსება/განხორციელება.“.

შეთანხმება წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და განიხილება მასთან ერთად.

ხელშეკრულების სხვა პირობები/დანართები, რომლებიც არ იცვლება შეთანხმებით, რჩება უცვლელი. შეთანხმებისა და ხელშეკრულების პირობებს შორის რაიმე წინააღმდეგობის შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება შეთანხმებას.

შეთანხმებიდან გამომდინარე ან/და მასთან დაკავშირებით წარმოშობილი დავა გადაწყდება ურთიერთშეთანხმების გზით, ხოლო შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში საქართველოს სასამართლოების მიერ, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

შეთანხმება შედგენილია ქართულ ენაზე, 2 (ორი) თანაბარი ძალის მქონე ეგზემპლარად და ინახება ხელმომწერ მხარეებთან.

შეთანხმება ძალაშია ხელმოწერისთანავე და მისი მოქმედება გავრცელდეს 2025 წლის 1 სექტემბრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტრო	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია
ს/ნ: 204755292	ს/ნ: 233730139
მისამართი: ქ. თბილისი, ვახტანგ გორგასლის №10	მისამართი: ქ. ლანჩხუთი, კოსტავას ქ. №37

Kakhaber Guledani 01024009201 Digitally signed by Kakhaber Guledani Date: 2025.12.15 15:32:07

Alexsandre Sarishvili 26001005981 Digitally signed by Alexsandre Sarishvili Date: 2025.12.11 14:27:48